საქართველო
შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„შარა-გზამშენი პირველი“

ГРУЗИЯ
ХОБИ
О.О.О. "ШАРА-ГЗАМШЕНИ ПИРВЕЛИ"

GEORGIA
KHOBI
"SHARA-GZAMSHENI PIRVELI" LTD

N 01/265

28.10.2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „შარა-გზამშენი პირველს“ ქ. ხობში, სახოკიას ქუჩა 1-ში გააჩნია ასფალტ ბეტონის ქარხანა, ინერტული ნარჩენების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო და ბეტონის კვანძი. კომპანიას აღნიშნული ობიექტის ფუნქციონირების მიზნით მიღებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 23 აპრილის 2-532 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულ საწარმოში 2013 წელს ღუმელის მძიმე საწვავის - მაზუთისა და დიზელის გამოყენება სრულად ჩანაცვლდა ბუნებრივი აირით. ამასთან ბიტუმის ღია საცავი ჩანაცვლდა დახურული ტიპის რეზერვუარებით. აღსანიშნავია, რომ შპს „შარა-გზამშენი პირველს“, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ასფალტ-ბეტონის ქარხნის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2013 წლის 25 სექტემბერს.

ვინაიდან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისიწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლისა და თქვენი 2021 წლის 21 ოქტომბრის 10989/01 წერილის შესაბამისად მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის. ელ ვერსია.

პატივისცემით,
შპს „შარაგზამშენი პირველის“

დირექტორი /გულადი ზერაია/

ს/კ 244559722
5800 საქართველო, ქ.ხობი, სახოკიას ქ. №1
1 str., Sakhokia, Khobi,Georgia

www. sharagza.com; E-mail: sharagza@mail.ru
☎ (+995) 414 22 54 24; (+995) 414 22 54 34
Fax: +995 414 22 25 67